საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ. 6ა, ტელ: 272-72-00, 272-72-20 ფაქსი: 272-72-37

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე

№ 13

2 აპრილი 2013 წ.

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – ცემენტის წარმოება.
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი – შპს "ქართული ცემენტი", ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქ.№18.
3. საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა – ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. №70ᵃ.
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 15.03.2013წ.
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შპს "ეკოლცენტრი".

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით შპს "ქართული ცემენტი"-ს მიერ ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ცემენტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

გზშ-ს ანგარიშის თანახმად:

ცემენტის საწარმო განთავსებულია ქ. რუსთავში, მშენებელთა ქუჩა №70ა. ტერიტორიის მესაკუთრეა შპს "ქართული ცემენტი", რომლის ფართობი შეადგენს 139500 m^2, რაც დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით (საკადასტრო კოდი №02.07.02.599).

გზშ-ს ანგარიშის მიხედვით ობიექტი ფუნქციონირებს 1991 წლიდან, საწარმო მრავალჯერ განახლდა ტექნიკურად, აღნიშნულიდან გამომდინარე გზშ ანგარიშში არ არის განხილული ტერიტორიის ალტერნატიული ვარიანტი, ამჟამად საწარმოს მტვერდამჭერი ფილტრების მდგომარეობა შეესაბამება საპასპორტო მაჩვენებელს.

საწარმოს მუშაობის რეჟიმი არის 24 სთ, წელიწადში 330 სამუშაო დღით. გზშ-ს ანგარიშის მიხედვით საწარმოს მომარაგება ხდება რკინიგზის ვაგონებით და შემოტანილი ნედლეული იცლება ღია საწყობში. კირქვა რომელიც ჩამოიცლება ვაგონჩამცლელ ბუნკერებში, ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით მიეწოდება კირქვის საწყობის საშტრაბელო მოწყობილობებს, საიდანაც კირქვა მიეწოდება წისქვილის მკვებავ ბუნკერებს, ლენტური ტრანსპორტიორებით. ნედლეულის გამოშრობა ხდება საშრობ დოლში ზომით 2,8X20,0მ, სადაც შრობის პროცესი მიმდინარეობს კლინკერის მაცივრიდან გამავალი ცხელი აირებითა და დამატებითი საცეცხლურის ხარჯზე. მშრალი (6%) თიხა ელევატორის საშუალებით მიეწოდება თიხის საცავ სილოსებს, ხოლო აქედან გადადის მადოზირებელ ბლოკში №5 კირქვის ბუნკერში. რკინის კომპონენტი საწარმოში შემოიტანება ავტომანქანებით. საწყობიდან გრეიფერული ამწით მიეწოდება საშრობ-საფქვავი წისქვილის რკინის ბუნკერს, რომელზეც დგას "SCHENCK" ფირმის დოზატორები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ხუთივე კომპონენტის დოზირება და შემდეგ მიეწოდება წისქვილს ზომით 3,6X12,5მ, სადაც მიმდინარეობს მათი ერთდროული შრობა და დაფქვა. დაფქვილ-გამომშრალი

ფხვნილი სინესტით 1% ელევატორების საშუალებით მიემართება ნედლეულის ფხვნილის საცავ სილოსებში (6ც. თითოეული მოცულობით 550მ^3) სილოსებიდან ნედლეულის ფხვნილის რაოდენობა რეგულირდება "IBAU HAMBURG"-ის რეგულირებადი შიბერით და "SWR enginnering"-ის ფირმის ხარჯმზომით, რის შემდეგაც ნედლეულის ფქვილი შნეკისა და ამფხეკი კონვეიერის საშუალებით მიეწოდება წინაგამახურებლის ელევატორს, წინაგამახურებელი შედგება 4 საფეხურიანი ციკლონისაგან, სადაც ღუმელიდან გამომავალი ცხელი აირების (1000^0-1100^0 C) ხარჯზე ხდება ფხვნილის ნაწილობრივი დეკარბონიზაცია. ფხვნილი 850^0-900^{0}C ტემპერატურით მიეწოდება ღუმელს, სადაც ხდება მისი სრული დეკარბონიზაცია, გაივლის ეგზოთერმული რეაქციების ზონას 1300^{0}C და წარმოიქმნება კლინკერის ძირითადი მინერალები. ამის შემდეგ გაივლის გამოწვის ზონას 1450^{0}C, სადაც ხდება კლინკერის საბოლოო ჩამოყალიბება და მიემართება კლინკერის მაცივარში. კლინკერის გაციების შემდეგ ხდება ტრანსპორტიორების საშუალებით მისი მიწოდება საწყობში, ხოლო აქედან კლინკერი და დანამატები გრეიფერის ამწის მეშვეობით ხვდება დაფქვის საამქროს ბუნკერებში, სადაც 2 წისქვილია ზომით 2,6X13,0მ და საპროექტო წარმადობაა ერთის 35ტ/სთ და 30 ტ/სთ. წისქვილებიდან დაფქვილი ცემენტი პნევმოტუმბოების საშუალებით გადაიქაჩება სილოსებში, საიდანაც ავტოტრანსპორტის ან რკინიგზის საშუალებით მიეწოდება მომხმარებელს.

ობიექტის ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი მავნე ნივთიერებები: არაორგანული და ცემენტის მტვერი, აზოტის ოქსიდები, გოგირდის ორჟანგი და ნახშირჟანგი. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშმა აჩვენა, რომ ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არცერთი ზემოაღნიშნული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ მის დასაშვებ მნიშვნელობას, ობიექტიდან დაშორებულ 500 მეტრიან რადიუსის მანძილზე (უახლოესი დასახლებული პუნქტი 750მ).

საწარმოს წყლის გამოყენება გათვალისწინებულია: საყოფაცხოვრებო, ტექნოლოგიური პროცესისთვის და ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის. საყოფაცხოვრებო-სამეურნეო წყლების ჩაშვება ხორციელდება ქალაქის საკანალიზაციო სისტემაში შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის წყლის მომარაგება ხორციელდება ქ. რუსთავის

წყალმომარაგეობის სისტემიდან შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, წყლის ხარჯი სამეურნეო-სასმელი მნიშვნელობისათვის შეადგენს 14.7 მ³ დღე-ღამეში. საწარმო ასევე იყენებს წყალს ტერიტორიაზე არსებული ჭიდან, მისი მოხმარება ტექნოლოგიური პროცესისათვის დანაკარგის სახით შეადგენს 20 მ³/სთ. საწარმოში დასაქმებული მუშა-მომსახურეების რაოდენობა შეადგენს 120 ადამიანს, ცვლაში მაქსიმალური რაოდენობა არის 70 ადამიანი, რომელიც გამოიყენებს 4.9 მ³ წყალს, 3 ცვლაში დახარჯული იქნება 14.7 მ³, შესაბამისად წელიწადში 4851 მ³.

საყოფაცხოვრებო ნარჩენები განთავსდება საწარმოოს ტერიტორიაზე დადგმულ კონტეინერებში და ხელშეკრულების საფუძველზე პერიოდულად გატანილ იქნება ქალაქის კომუნალური დასუფთავების სამსახურის მიერ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, რომლის რაოდენობა დღე-ღამეში შეადგენს 1.0 მ³, ხოლო წლიური რაოდენობა შეადგენს 365 მ³.

საწარმოო ობიექტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის გათვალისწინებულია ხანძარსაწინააღმდეგო, წყალმომარაგების და ელექტრომომარაგების უსაფრთხოების ღონისძიებები. ავარიული სიტუაციების შემცირების ღონისძიებები.

ობიექტის შემადგენლობაშია ასევე ხანძარსაწინააღმდეგო მეურნეობა, რომლის შემადგენლობაში შედის: სახანძრო ზედამხედველობის ოთახი, სათავსო სახანძრო ინვენტარის შესანახად, ხანძარსაწინააღმდეგო წყლის ავზი, სამეურნეო-ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობა, რეზერვუარების ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა და სახანძრო სტენდები, რომლებიც უნდა იყოს მუდმივ მზადყოფნაში.

საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში მეწარმე ვალდებულია მის მიერ აღებული ტერიტორია მოიყვანოს საქმიანობის დაწყებამდე არსებულ მდგომარეობაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად გამოვლენილი პირობები ასახულია წინამდებარე დასკვნის III თავში.

III. პირობები

შპს "ქართული ცემენტი"-ს ხელმძღვანელობა ვალდებულია:

1. საქმიანობა განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით წარმოდგენილი სქემის და შემარბილებელი ღონისძიებების მიხედვით;
2. უზრუნველყოს "ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში" წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
3. უზრუნველყოს ნარჩენების მინიმიზაცია და წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, აღრიცხვა, დროებით უსაფრთხოდ განთავსება და შემდგომი მართვის (გადამუშავება, გაუვნებლება ან განთავსება) მიზნით სათანადო გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე ორგანიზაციაზე გადაცემა;
4. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებიდან 2 თვის ვადაში გარემოს დაცვის სამინისტროში წარმოადგინოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის კონკრეტული გეგმა;
5. აწარმოოს თვითმონიტორინგი, მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;

IV. დასკვნა

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით, წარმოდგენილ შპს "ქართული ცემენტი"-ს ცემენტის წარმოების, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში გათვალისწინებული პირობებით.

ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

<u>თამარ შარაშიძე</u>
(სახელი, გვარი)

_____ ბ.ს.
(ხელმოწერა)